ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების
დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის
მომზადება-განახლების საკითხებზე მომუშავე
სამუშაო ჯგუფის სხდომის
ოქმი N1

ქ. ოზურგეთი 13 ივნისი 2023წ.
მ. კოსტავას ქ.N1

2023 წლის 13 ივნისს გაიმართა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ა) სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე - გიორგი ღურჯუმელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბ) სამუშაო ჯგუფის წევრები: ნათია გოლიაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გ) პავლე ჭყონია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; დ) გიორგი ჩაგანავა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი, ე) მაიზერ ცელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსი; ვ) ხათუნა სურგულაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ.; ზ) ელიკო დოლიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი; თ) თამარ ბაქანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მ/შ; ი) ნატალია ხომერიკი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი; კ) ლელა ვასაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი; ლ) თემური მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი; მ) გოჩა აბაშმაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მ/შ.; ნ) კობა ხაბალაშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

სხდომას უძღვებოდა:

თანათავმჯდომარე - გიორგი ღურჯუმელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

განსახილველი საკითხი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის საჭირო გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თანათავმჯდომარის გიორგი ღურჯუმელიძის მოხსენება - რომელმაც აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის №36.362306017 ბრძანებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს:

1. მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი.

2. არაუგვიანეს 2023 წლის 1 აგვისტომდე სამუშაო ჯგუფმა მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით, უზრუნველყოს მოსახლეობის საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოკვეთა და შესაძლებლობის მიხედვით მათი 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიაში გათვალისწინება.

3. არაუგვიანეს 2023 წლის 15 აგვისტომდე სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი პარამეტრების შესაბამისად პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებას და მერისთვის წარდგენა; იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული პროგრამების საერთო ჯამი აღემატება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად პარამეტრებს, სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს ზღვრულ მოცულობაზე ზემოთ არსებული პროგრამების რანგირებას და მერისთვის წარდგენას. 4. არაუგვიანეს 2023 წლის 1 სექტემბრამდე 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის გადამუშავება.

5. არაუგვიანეს 2023 წლის 15 ოქტომბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი პარამეტრების (გადამუშავებული) შესაბამისად, 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის გადამუშვება და მერისთვის წარდგენა.

6. არაუგვიანეს 2023 წლის 25 ოქტომბრამდე 2024- 2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გაცნობა დაინტერესული მხარეებისათვის.

7. არაუგვიანეს 2023 წლის 10 ნოემბრამდე 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენა მერისათვის

სხდომის თანათავმჯდომარე მოუწოდა ჯგუფის წევრებს შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციების და წინადადებების დაფიქსირება:

გიორგი ღურჯუმელიძე - იდეები/წინადადებები შემოვიტანოთ და წარვუდგინოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს. ვეცადოთ პროგრამები/ღონისძიებები დავაკონკრეტოთ, რომ შემდეგ რაიმე სახის გაუგებრობა არ წარმოიშვას. ამისთვის დაგვჭირდება ღონისძიებების კალენდარი: ინფრასტრუქტურული პროექტების კალენდარი; ახალი სოციალური პროგრამების კალენდარი, ახალი პროგრამის ჩაშვების პირობებში და ა.შ. რადგან განსაზღვრული პროცესი უხარვეზოდ

წარიმართოს. ასევე ჩვენ დაგვჭირდება ჩვენს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებიც.

პავლე ჭყონია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის შექმნილია აღნიშნული სამუშაო ჯგუფი. გამოკვეთილია 7 პრიორიტეტი და თუ კი რაიმე ხარვეზს ხედავთ და არის გამოსასწორებელი ვაგრძელებთ მუშაობას და ვამატებთ შესაბამის პრიორიტეტებს და შევიტანთ სიახლეებს. მეორე შეხვედრა უნდა ჩავატაროთ თვის ბოლოს რაც შეიძლება ადრე. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მივაწოდოთ მერის წარმომადგენლებს, ასევე მოქალაქეების პოზიციაც გასათვალისწინებელია. შესაბამისად რაც უკეთესი იქნება გავასწოროთ, დავხვეწოთ, თუ საჭიროება მოითხოვს თანხებსაც გავზრდით. ვიმუშაოთ და მომავალი შეხვედრისათვის განვიხილოთ მოქალაქეების განცხადებები. გასათვალისწინებელია გენდერული საკითხები. ჩვენი შეხვედრა ოქმის სახით საჯარო იქნება მოქალაქეებისთვის. გთხოვთ ჩემს მიერ გამოგზავნილი დოკუმენტები მაქსიმალურად მოკლე ვადებში განიხილეთ თქვენს განყოფილებასთან ერთად.

გიორგი ღურჯუმელიძე - აუცილებლად განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა აიპ. მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან ერთად გაიაროს ღონისზიებები ბიუჯეტურ დაგეგმარებაში, ვგულისხმობ თქვენთან შეთანხმებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია. ბიუჯეტი როგორიც წინა წელს იყო ისეთი იქნება ოღონდ 10 % დამატებას ვითვალისწინებთ. მოკლედ ფინანსებთან დაკავშირებით ნებისმიერ ღონისძიებებზე ჩვენ თქვენთან გვექნება შეკითხვები და ამიტომ აიპიებთან გქონდეთ ბიუჯეტთან დაკავშირებით ინფორმაცია თქვენთან გავლით და შეთანხმებით.

პავლე ჭყონია - ასევე მინდა ვთქვა რომ გთხოვთ ყურადღება მივაქციოთ ვადებს, ბიუჯეტი დავგეგმოთ რეალურად შესრულებადი და ზედმეტი ხარჯებით. 26 ან 27 ივნისს შეხვედრა შედგება და წარმოადგენთ შესაბამის პროექტებს.

გიორგი ღურჯუმელიძე - დიახ ვადა მნიშვნელოვანია, დავიცვათ ვადები, დროულად წარვადგინოთ პროექტები, წინადადებები, რათა ყველას მიეცეს გაცნობის და განხილვის საშუალება.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ წინადადებებს და გამოთქვეს მზადყოფნა დაკისრებული მოვალეობების დადგენილ დროში სრულყოფილად შესრულებაზე.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილე პირების მხრიდან სხვა რაიმე წინადადებები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დასაწყისი: 11:00 სთ. - დასასრული: 12:35 სთ.

გიორგი ღურჯუმელიძე
სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე -
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე.

ნათია გოლიაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე.

პავლე ჭყონია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

გიორგი ჩაგანავა
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
საბიუჯეტო განყოფილების უფროსი

მაიზერ ცელაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის
დაცვისა და სოციალური სერვისების
განყოფილების უფროსი;

ხათუნა სურგულაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის
უფროსის მ/შ.;

ელიკო დოლიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო
განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

თამარ ბაქანიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ქონების მართვის განყოფილების უფროსის მ/შ;

ნატალია ხომერიკი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
სამსახურის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
განყოფილების უფროსი;

ლელა ვასაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამსახურის განათლების
განყოფილების უფროსი;

თემური მურვანიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და
ტრანსპორტის სამსახურის ტრანსპორტის
განყოფილების უფროსი;

გოჩა აბაშმაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და
ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მ/შ.;

კობა ხაბალაშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.